კვირა, 12 ოქტომბერი, 1930 წ. ფასი 10 კაპ. № 38

Библиотека-Музей

ტარტაროზი

,,ადგილი აქვს სოფლიდან პასუხისმგებელ მუშაკების გამოქცევის შემთხვევებს". სა კავშ. კ.პ.(ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვიდან

12 579



გაიტაცა ფიქრებმა საოცნებო მხარეში,
აგონდება ,,ფორდი" და პროსპექტებზე თარეში

„ახალი უბედურება“

იმ საღამოს სიმონ იობაშვილისას წავედი სტუმრად.

სიმონ სახლში არ დამხვდა, მისი ცოლი დაღვრემილი მომეგება.

— ჰეე, ჩემო კარგო, უბედურება გვეწვია, სიმონი პარტიის მობილიზაციაში მოჰყვა და ხვალ სადღაც სოფელში აგზავნიან სამუშაოდ. ბედნიერები ხართ, თქვენ, უპარტიო სპეცები, არავინ გაწუხებთ — მითხრა მან და სკამი გამომიწოდა.

სიცილი წამსკდა; თამრო გაკვირვებული თვალებით დამცქეროდა;

— განა ეს არის უბედურება? სიმონი აგრონომია, ძველი კომუნისტი,

დღეს, სოფლად სიმონისთანა ხალხია საჭირო, მაგ არა და თქვენის აზრით კაბინეტში ჯდომა სჯობია? ვუპასუხე მას, რომელსაც ალბად ჩემი სიტყვები არ ესიამოვნა, ზურგი შემაქცია და მეორე ოთახში გავიდა.

ამ დროს სიმონიც შემოვიდა.

— სიმონს ვახლავარ! რა დაგმართია კაცო ინდაურივით, რომ ცხვირი ჩამოგიშვია! ხუმრობის კილოთი მივმართე მას და ხელი გაუწოდე.

პარტიის მობილიზაციაში მოვყევი და ხვალ სოფლად მივდივარ სამუშაოდ. აბა შენ იცი, ჩვენს ოჯახს თუ არ დაივიწყებ! და მან ისეთი თვალებით შემომხედა, რომ მეგონა ტირილს დაიწყებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მაცნობა, რომ ახლო მომავალში ოოქრები გაუქმდებოდა და ისიც ტფილისში დაბრუნდებოდა.

მართლაც არ გასულა მას შემდეგ ერთი თვე, რაც სიმონი ტფილისში დაბრუნდა.

ერთ დღეს მან ტელეფონით დამირეკა და სახლში მიმიპატიჟა.

სოფლიდან მისი ჩამოსვლა ნამდვილი ზეიმით აღინიშნა, მთელ ღამეს ვქეიფობდით.

— როგორ მოახერხე სიმონ, ტფილისში დაბრუნება, აკი ოლქის მომუშავეები რაიონში უნდა წასულიყვენ სამუშაოდ! — შეეკითხე მას.

— რა ძნელი მოსახერხებელი საქმე ეს იყო. არ მინდოდა რაიონში მუშაობა და არ წავსულვარ. — ლიმილით მიპასუხა მან; ტფილისში დაბრუნება რა უნდა იყოს, იქაც ვბრუნდები ჩემო საშა, იქაც ძველ ადგილას. დაუმატა მან და მის სახეს მე-

დიდური გამომეტყველება დაეტყო.

ეს ამბავი ჩემთვის ახალი იყო.

— როგორ, აკი შენ იქიდან მოხსნილი ხარ! ნამგალაძე სად მიყავთ? ის ხომ ინჟენერია.

გაკვირვებით ვსთქვი მე.

— თვით თანამშრომლები ითხოვენ ჩემს დაბრუნებას. ხომ იცი იქ ვინ არიან? მე რომ არ ვმფარველობდე, ამდენ ხანს მათი ბურდღა არ იქნებოდა! ყურში ჩამჩურჩულა მან.

მე სიჩუმით ვუპასუხე.

სიმონი მართლა დაუბრუნდა ძველ თანამდებობას, რასაც პროლეტარული საზოგადოებრივობა უკმაყოფილოთ შეხვდა. მას იცნობენ, როგორც „მოკლე ჭკუის“ კაცს. არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვე, რაც სიმონის ოჯახს „ახალი უბედურება“ ეწვია, უმაღლესი ორგანოების დადგენილებით, ის აგრონომები, რომელნიც თავის სპეციალობაზე არ მუშაობდნენ, დაუყონებლივ იქნენ გადარიცხულნი მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში, რომლებიც იგზავნებოდენ სოფლად სამუშაოდ.

ამ დადგენილების გამოცხადების რამდენიმე დღის შემდეგ, სიმონს ქუჩაში შევხვდი, რომელსაც „დანა პირს არ ეხსნიდა“.

— აღარ მასვენებენ ჩემო საშა, ეხლაც მაგზავნიან სოფლად, ესეც „ახალი უბედურება“! პარტიაში ეხლა ყოფნას ჯოჯოხეთში ყოფნა

სჯობია! მითხრა მან და დამემშვიდობა.

სიმონ იობაშვილი მთიულეთში გაიგზავნა სამუშაოდ, ინჟენერი ნამგალაძე კი კვლავ დააბრუნეს სიმონის ადგილას.

ყუმბარა.

ზოგიერთ მეტაბელეს „მკვდარი სულები“ შეაქვს ჯამაგირის ნუსხაში და მათ ხელფასს და სპეცტანსაცმელს თვითონ ითვისებს.

მკვდარი „სულები“ (მეტაბელეს):—ჩამოდი, ჩამოდი ჩქარა ჩვენს სახელზე აღებულ ხელფასს, თორემ დედას გიტირებთ! კუბოთი გაგიხეთქავთ მაგ უსირცხო გოგრას!

ტარტაროზის ბრძანება

ტარტაროზკორებს,
ყველა მკითხველებს,
კალმის ოსტატებს,
ყველა მეტყველებს,—
ეხებათ ყველას
ბრძანება ესე,
გამოტანილი
დღის სინათლეზე!
მართალი არის
ჩანგალის წვერზე
ჩვენ მავნებელი
ავაგეთ ბევრი
და იმ:თ თავზე
რისხვის ჩვენისა
დავატრიალეთ
კალო და კევრი,—

(ფოქსტროტს ცეკვავენ
ისინი ქვაბში,
როცა დაადგათ
თავს გასაჭირი,
და არა ერთი
ბიუროკრატით
ჩავიტკბარონეთ
ყელი და პირი,)

მაგრამ სინსილა
მავნებლების
არ გადაშენდა
ბიუგბო, ჯერა,
და მიტომ გვმართებს
ახალი ტემპით
იმათი დევნა,
იმათი ჭერა.
გასაგებია,
(არ უნდა ამას
ცემა საყვირის
იერიქონის)
რომ სასილოსოთ
მისწრება არის
ბიუროკრატის
ღიპი და ქონი!

თუ დავერევით
მავნებლებს ყველას,
როგორც სახორცე
განწირულ ზვარაკს,
მშრომელთა მასებს
იმათი ქონით
ჩვენ დაუმზადებთ
სასაპნე მარაგს.

აი, ამ მიზნით
ვბრძანებ, ვისაც აქვს
მუხლი მგლისა და
თვალები ქორთა,—
ცხადდება მათი
მობილიზაცია,
მობილიზაცია
ყველა ტარკორთა.

და ტარტაროზი
ამიერიდან—
(ისმინეთ ყველამ!)
ასე აწესებს:
ყველა ტარკორი
და მოქალაქე
ემორჩილება
სამხედრო წესებს.

ყველა ტარკორი,—
გამოუკლებლად,—
ამიერიდან
არის დამკვრელი
და ემატება
იმათ საჭურველს
ჩანგალთან ერთად
მახვილი ცელი.

რომ მავნებლები
დაკვრითი წესი
სადაც შეხვდებათ
გაკაფონ ცელით
და სასილოსე
ორმოში ჰყარონ,
ან ჩვენ გვიგზავნონ
საკუთარ ხელით.
აბა!
დაიწყეთ!
მუხრი მავნებლებს!
თვალი აიბით
დამშეულ ქორის!—
იგრძნოს ქვეყანამ
ამიერიდან
იერიშები
დამკვრელ ტარკორის!

ყველა თქვენგანი
უნდა გვაწვდიდეს
ოპერატიულს
ყოველდღე—
ცნობას.—
დაჭკარით მაგრათ!
ნურვინ მოელის
ჩვენგან სიბრალულს
და თანაგრძნობას!

ტარტაროზი.

ტარტაროზის სასაწლე.



როგორ „ამზადებენ" კადრებს სილნალელი „პედაგოგები".

ნაწილი მეოთხე

მეთოთხმეტე თავი

ეგვიპტეში ცხოვრების გამოსათავი.
ახალ მიმართულებით
საქმის გართულება.

მენშევიკური ქალაჩუნები,—
მომხთარ ამბებით დანაშინები,—
თავიანთ რიგებში ხალხს ეძახოდენ,
ყოველ ჯვარედინზე გაიძახოდენ, —
რომ მოძრაობა შემცდარ გზაზე სდგასო,
რომ სწორ გზაზე უნდა გამოყვანა მასო;
რომ სცდებიანო ბნელი ბრბოებიო!
სჯობს, რომ მოვაწყოთ სალაროებიო,
სადაც მუშები თავს დაიზღვევენო, —
სხვაგან ვერა ვხედავთ გამოსავალს ჩვენო!..

მათი უბედობით საქმე არ გათავდა,
მოძრავობა კიდევ უფრო გაფართოვდა.
ვაჭრობ - მრეწველობა სრულიათ დაეცა.
ეგვიპტის ქვეყანა „ბნელეთმა მოიცვა“.

საქმის გამწვავება იქამდის მივიდა,
ფარაონს ვეზირზე გული მოუვიდა:

— „მე შენ კი რა გითხრა, — თვალები დაგიდგა!
ვისი ბრალი არის, ეს დღე რომ დაგვიდგა?
რათ ვერ დააწყნარე შენ ამ ხალხის მოდგმა?
არ უნდა შეგეძლოს ჩემს წინ სულის მოთქმა!
წადი, გადეცი იმ შეჩვენებულებს:
გასამგზავრებლათ ხომ მე არ მთხოვენ ფულებს?
საითაც ერჩიონ, — იქითკენ წავიდენ,
მხოლოდ ეგვიპტიდან ჩქარა კი გავიდენ“!..

***

გამოუცხადა ყველა ლარიბს მოსემ,
რომ ჩქარა შეიმოსონ.
ლაქრო, ვერცხლი, ფული, თუ ჭურჭელი,
ეგვიპტელთ ქონებას რასაც სტაცონ ხელი,
—ყველა წამოიღონ და არა დასტოვონ,—
თუ კი ვისმე კიდევ რაიმე დასტყოვონ,—
და უკან გაჰყვენ მას:
აღთქმულ ქვეყნისკენ ის უჩვენებს მათ გზას!..

***

მენშევიკების კამიტეტში
და იმათ გაზეთებში
მოსეს წყევა-კრულვას უთვლიდენ.
ავანტიურისტათ მას სთვლიდენ:
— „ანარხისტი! გაიძვერა! არამზადა!
ხალხს ეს რა საფრთხე მოუმზადა!“
— „უგზო-უკვლოთ საღაცა მიჰყავს,—
უეჭველია, სადმე დაღუპავს!“
— „საწყალ ბურჟუებს ტყავს აძრობს,—
სინდისის ქეჯნას არც კი გრძნობს!“
— „რა დღეს დაგვაყენებს ეხლა ფარაონი!
ბანგებ მოგვიწყოვო თითქოს ეს ოინი!“
— „ძვირად დაგვიჯდება ეხლა ეს ამბავი,—
ქვით ჩასაქოლია ჩვენგან მაგი ავი!“..

მოსე თავისას მაინც განაგრძობდა,—
თავს დამნაშავეთ სრულებით არ გრძნობდა.
— „რატომ არ ისმოდა თქვენი სისინი,
ხალხს ტყავს რომ აძრობდენ დღემდი ისინი?..“

***

მოსემ ჰკითხა ხალხს:
— სამგზავროთ მზათ ხართ?
— ვართ!
—მაშ ჩქარა იართ!
და გაემართენ მთელი ჯალაბობით,
როგორც ჩაამწკრივა მოსემ—ისე მწყობრათ.

ბელადები მათ წინ მიუძღოდნენ,—
აღთქმული ქვეყნისაკენ გზა მათ იცოდენ!

ქალაჩუნებიც აედევნენ უკან ჩანჩალით,
ხალხს აღელვებდენ ჩუმი ჩურჩულით:
— ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!—
არ გამოვიდეს აქედან ცუდი რაიმე!

ფარაონს აწკლიდენ ცნობას ცნობაზე,—
მათ მგზავრობაზე.

ერთგულებაში მას ეფიცებოდენ,
ცოდვების შენდობას ეხვეწებოდენ.
რომ მოსეს ისინი სრულებით არ ეთანხმებიან,
და თუ უბრძანებს ფარაონი,—ეახლებიან!
შეთანხმებაზე გამართავენ მოლაპარაკებას,—
თუ კი ფარაონი მოწყალებით დართავს ამის ნებას!..

მათი გამცემლობის იყო შედეგი,
რომ ფარაონმა გადასწყვიტა საქმე შემდეგი:
ჩქარა შეჰკრიბა თავისი ჯარები,
და თუმცა მოსეს დიდი მანძილი ჰქონდა განარები,
მაინც გამოუდგა უკან დასაწევათ,—
მკაცრი ანგარიშის მისთვის გასაწევათ!..

***

ცუდ დღეში ჩავარდა მოსე,
ასეთი ამბავის მომსწრე:
წინ გადაეღობა მას ზღვა,
უკან მოისმოდა ხმა
ფარაონის ურიცხვი ლაშქრების,
შიგნით კი—ჩოჩქოლი მენშევიკური ლაჩრების:
— ვის ფეხის ხმას აჰყევით
და აღთქმულ ქვეყანაში გაჰყევით!
— თქვენ მხსნელს ხედავდით მოსეში
და ამიტომ არ გრძნობდით შიშს!
— აკი ჩვენ გირჩევდით,—
სჯობს, ეგვიპტეში თუ დარჩებით!

ძაღლი პატრონს...

„ტფილისის განათლების განყოფილებაში, მიუხედავად სამოსწავლო წლის დაწყებისა ისევ არეული ყველაფერი, რომ „ძაღლი პატრონს ვერ სცნობს".

(მკითხველის შენიშვნა)

სცენა ტფილისის განათლების განყოფილებაში

— არ გჯეროდათ ჩვენი ნათქვამი,—
აი, ესეც თქვენ!
— ჩვენთვის რომ დაგეჯერებიათ
და ფარაონი არ გაგეჯავრებიათ,
საქმეს როგორმე მოვაგვარებდით
და სიცოცხლეს არ ჩავიმწარებდით!
— ჩვენ ფარაონისაგან ვითხოვდით ნებას
და კანონებში შევიტანდით ცოტა ცვლილებას!
— წყნარათ და დინჯათ,
ნელი ნაბიჯით,
იქით წავიდოდით,
საითაც გინდათ!
— მაგრამ ჩვენ არ გვიცქეროდით ნდობით
და თქვენ ეს არ ინდომეთ!
— ჩვენი სიბნელის ბრალია,
რომ მოსემ და აარონმა ასე აგვრია!
— ეგვიპტეში გაუძლებდა კაცი შიმშილს,
აქ კი ვერ ავსცდებით სიკვდილს!

***

სადაც ბრიყვისათვის გაუვალი ზღვაა,
იქ ბრძენისათვის მოკირწყლული გ[illegible]ა!

მოსემ გასავალი ნახა ზღვაზე ფონი.
ფარაონს არ ჰქონდა იმ დროს ტელეფონი.
მეორე ნაპირას მოსე რომ გავიდა,
ფარაონმა მხოლოდ მაშინ ეს გაიგო.
საჩქაროთ კვალდაკვალ უკან გამოუდგა.
მაგრამ,—თვალები მას ბარემაც დაუდგა!—
არ იცოდა კვალი მიდიოდა საით,
ამიტომ ცომში ჩავარდნილ ბუზსავით
ზღვის ტალღებმა შთანთქეს!
მენშევიკებმა კი ამის გამო რა სთქვეს?
— ჰმ!.. ყველაფერი ეს შემთხვევის ბრალია!..
მოსე იღიმებოდა:—„ასეა, ძამია!
რისიც არ უნდა იყოს ეს ბრალი,—
ჩვენი საქმე ხომ წადმა არი?!"

თუმც სამარცხვინოთ ყოველთვის სცდებოდენ,
მენშევიკები მაინც არ სცხრებოდენ.

მოხდა როდის ეს?
ვგონებ ოქტომბერს.
წელი და რიცხვი,—
კარგათ არ ვიცი...

ხ. თ—ია.

(გაგრძელება იქნება)

ხამოსწავლო წელი უკვე დაიწყო და სკოლები კი ჯერ კიდევ არ არის მომარაგებული საჭირო სახელმძღვანელოებით. (გაზეთებიდან)



ბავშები (ბარონს)—ძია, რატომ არ ასრულებ საწარმოო გეგმას; სად არის თქვენგან დაპირებული წიგნები?!

კამპანიის ჩატარება

მთელი რიგი საზ-რიგ დაწესებულებები ჯერ-კიდევ პასიურ მონაწილეობას იღებენ შემოდგომის თესვის კამპანიაში. ზოგიერთი მათგანი ცირკულიარებით კმაყოფილდება.

გაზეთებიდან.

შემოდგომის თესვის კამპანია რომ დაიწყო, იმ დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ, გადასწყვიტა მთელი თავისი უწყებით მიეღო მონაწილეობა ამ კამპანიაში.

ჩვენ შორის რომ ითქვას, მას თვითონ არ მოსვლია ეს იდეა. იგი გააფრთხილის სათანადო ორგანოებმა. ამიტომ მან მოიწვია უფროს თანამშრომელთა საერთო თათბირი, ანუ გაფართოებული პლენუმი და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოების შესახებ საერთოდ. მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა და ილაპარაკა ურუგვაი-პარაგვაის საგარეო პოლიტიკაზე. ბოლოს აღნიშნა, რომ თანამშრომლებმა უთუოდ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შემოდგომის კამპანიაში.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყდა დაწერილიყო ცირკულიარული წერილი, რომელიც პროვინციალურ განყოფილებას გაეგზავნებოდა.

ცირკულიარის შედგენა მიენდო ზავხოზს, რომელიც ოდესღაც კონსულტანტათ იყო ნამყოფი.

ცირკულიარის შედგენას, მის რედაქციას, გამგისათვის მიტანას, გადაბეჭდვას, რეგისტრაციაში გატარებას და ფოსტაში გადაგზავნას მოუნდა რაღაც სამიოდე კვირა. მოსამზადებელი პერიოდი მიწურული იყო, როცა ცირკულიარული წერილი დიდის ამბით გაეგზავნა მაზრას.

მთელმა დაწესებულებამ თავისუფლად ამოისუნთქა. ყველა სამი კვირის ნადენ ოფლს იწურავდა.

ხუმრობა ხომ არ იყო: თესვის კამპანიაში მონაწილეობის მთელი სიმძიმე რაღაც სამიოდე კვირაში გადაიტანეს.

საპასუხისმგებლო სამუშაო დამთავრებულად ჩაითვალა.

დაწესებულების სამაზრო (მაზრა ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული) განყოფილების გამგემ მიიღო ცირკულიარული წერილი. გულის კანკალით გახსნეს კონვერტი, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხასიათის საბუთები იქნებოდა შიგ. ზოგს ინსპექციის გამოკვლევის მასალები ეგონა, ზოგს გაფრთხილების წერილი, ზოგსაც შტატის შემცირების დირექტივა.

—ცირკულიარული წერილი ყოფილა,—თავისუფლად ამოისუნთქა გამგემ და ოფლი მოიწმინდა.

—მე კი ჩემი დამემართა და... სთქვა გამგის მოადგილემ.

—დასწყევლოს ღმერთმა. შტატის შემცირების შესახებ გვწერდენ მეგონა,—ჩაილაპარაკა საქმეთა მმართველმა.

ცირკულიარული წერილი წაიკითხეს.

—აბა ამ წერილის გამო ერთი სადირექტივო—პრაქტიკული ხასიათის წერილი ჩვენც უნდა შევადგინოთ,—დაფაცურდა სამაზრო განყოფილების გამგე.

დატრიალდა ყველა, ვინც კი წერა-კითხვა იცოდა, ყველა წერილის პროექტს ადგენდა. ბოლოს შეათანხმეს, შეასწორეს და გადაბეჭდეს. გამოვიდა ჩინებული სადირექციო წერილი.

—ახლა დავაგზავნოთ,—კმაყოფილი კილოთი ამბობდა გამგე.

—სადირექტივო წერილი რაიონებს დაუგზავნეს.

რაიონულ განყოფილების ხელმძღვანელმა მიიღო სამაზრო განყოფილების წერილი და მასაც საგრძნობლად აუძგერდა გული, მანამ წაიკითხავდა. დაფაცურდა რაიონული განყოფილება თავისი გამგით და მთელი შტატით.

—ამოდენა სადირექტივო წერილი ჩვენ არ გამოგვადგება, ჩვენ თითონ უნდა შევადგინოთ საინსტრუქციო წერილი და დაუგზავნოთ ადგილებს.

—რომელ ადგილებს?—იკითხა საქმის მწარმოებელმა.

—რომელს და სოფელს შე კაცო, როგორ მეკითხები!,

საქმის მწარმოებელი, რომელიც იმავე დროს ბუხგალტერის და რეგისტრატორის მოვალეობასაც ასრულებდა, სირცხვილისაგან გაწითლდა.

—რას იფიქრებს ახლა ეს კაცი, ადგილები აღარ ვიცი რას ქვია...—მწარედ გაიფიქრა მან.

ორივენი დაფაცურდენ, კოხტა საინსტრუქციო წერილი შეადგინეს ადგილებისათვის და გაუგზავნეს სოფელს.

სოფლის განყოფილებამ მიიღო ინსტრუქცია და თითონაც დაფაცურდა.

—ეს რაიონული ცენტრის შედგენილია, მდაბიო ხალხი ვერ გაიგებს, ერთი პატარა განმარტებითი ბარათი ჩვენ თითონ უნდა შევადგინოთ,—ამ აზრის იყო სასოფლო ფილიალის მთელი შტატი, რომელიც ერთ ერთი კაცისაგან შესდგებოდა.

მან განმარტებითი ბარათი შეადგინა და უბნის რწმუნებულს გაუგზავნა.

რწმუნებულმა ბარათი გახსნა, წაიკითხა და მიიღო ცნობათ და სახელმძღვანელოთ... მომავალი წლისთვის, რადგანაც ამ დავიდარაბაში შემოდგომის თესვა უკვე მოთავდა.

ტურისტი.



რკ. გზის ზოგიერთ ბუფეტებში მოსადილენი და მათი „სკამები“

გალადა პურის წიგნაკების კომისიაზე

დავსწერე ეს ბალადა,
თავის შესაბრალადა

შრომობს... შრომობს...
წიგნაკების კომისია...
შრომობს, მხოლოთ
თქვენთვის სიტყვა მომიცია,
რომ ეს შრომა
ჰგავს სიზიფის ტანჯვას, ცნობილს,
რომ თვით „უაკტი“
არ იცავს წესს, მისგან წყობილს!..
მაგალითად, რომ ავიღოთ
ჩვენი „უაკტი“,
სამწუხარო ჩვენ
გვჭირს მისგან,
ბევრი ფაქტი!
გამოუკრავს განცხადება,
რომ „ანბანზე
ექნება მას მუშაობა
ამ საგანზე“!
რომ ანბანით უნდა წერა
ყოველ სიტყვას,
ეს უდაოთ ვიცით ყველამ,
უნდა ითქვას,
და „უაკტს“ თუ, რომ
თვის ადგილზე თავი ება,
რათ უნდოდა ამისთვის
ეს განცხადება?!.
ეს არ არის
მუშაობა ანბანთ წესზე!
და ვნანობ, რომ
ბეეკ ავეგე მის ანკესზე:
დანიშნულ დღეს
გამოვცხადდი „უაკტის“ წინა.
და რაც ვნახე,
ამ მოვლენამ მე მაცინა,
თუმც კი იყო
სამწუხარო ეს მოვლენა!
რომ ამ „უაკტში“
წამოეგდო ყველას ენა:
რის ანბანი?
რისი რიგი? რისი წესი?
აქ ბაზარი
იქნებოდა უკეთესი,
ვიდრე „უაკტი“
ან ორგანო შრომის ქვეყნის,
სად წესრიგი
უნდა გვქონდეს საგნად კვეხნის!
ყველა თვის წესს
იგონებდა საყასიდოს:
წესი — ნიკოს!
წესი — სიკოს!
წესი — სიდო!
ყვალავეკ წესი
ამირანდოს!
გიტოს!
გიგოს!
ამ „წესებში“
წესი, აბა ვინ გიგოს?!.
ეს „უაკტს“ არა,
ბაბილონის მოჰგავს გოდოლს!
მხოლოდ ვნანობ
მე მის ხელში ჩემს თავს, ობოლს!..
დიდი საქმე იქნებოდა,
ვანა, ესა,
რომ „უაკტს“ საქმე
ესე ასე განეწესა:
დღეში თითო,
ორ თუ სამი სახლის მდგმურებს
გაუწევდი
ამ „უამრავ“ საშსახურებს!
ესე იგი,
ანკეტებზე წაუწერდი:
„ვის ერგება საარსებო
პური, ხვედრი,
და ვინ ამის
აღარ არის ქვეყნად ღირსი!“
აქ უმწიკვლოც
შეგრჩებოდა სინიდისი,
აღარც ხალხი მოკდებოდა
ათ დღე ლოდნით
და ეს საქმეც მოწყვებოდა
წესით, ცოდნით!
თუმც „უაკტისთვის“
განძი ესე სად ნახულა?
ისიც კარგი,
პურით თუ არ გვამარხულა!..

ბაზარა.

იუვიათი თაიგული

— რას ხმარდება ქართველ მთიელთა საზოგადოების მიერ მონაგები თანხები? — შემეკითხა ტარტაროზი, ჩემ მიერ რედაქციის კარების გაღებისთანავე.

— აპარატის მიერ გაბერილ შტატის შენახვას — ვუპასუხე მე!

რა ზომები იქნა მიღებული გამგეობის მიერ იმ პირების მიმართ, რომლებიც გაზეთებში იქნა გამომჟღავნებული?

— გამგეობამ დაადგინა, რომ, მართალია ისინი ყოფილი ვაჭრები და ოფიცრებია, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელია, მაგრამ ჩვენთვის როგორც „კულტურულ“ საზოგადოებისათვის, მისაღებია.

— ვინ არის ხახლიშვილი?

— ყაზბეგის სასადილოს გამგე, ყოფილი ვაჭარი.

— ვინ არის ფიცხელაური?

— ყოფილი ვაჭარი.

— ვინ არის მოზდოკელი?

— ყოფილი ვაჭარი.

— ვინ არის გომერი?

— ყოფილი ვაჭარი.

— ვინ არის აბოიანცი?

— ყოფილი ვაჭარი.

— ვინ არის ყაფიჩიანცი?

— ყოფილი ვაჭარი;

— მენთეშაშვილი?

— ყოფ. ვაჭარი.

— ბეჟინაშვილი?

— ყოფ. ვაჭარი.

— ვანაძე?

— ყოფ. ვაჭარი.

— რა ზომებს ღებულობს ადგილკომი?

— ადგილკომს ბუზათაც არ სთვლიან. გაგზავნე ამხ. ტარტაროზო „საქ. მთიელთა საზოგადოებაში“ შენი მსჯბუქ. კავალერისტები და იმდენ მაენებელს მოგიტანენ, რომ „ხვეტო, ხვეტო, — ვერ მობვეტო!

ნ—რი.

სწორ უპოვარნი

ჭიათურის შავი ქვის მუშებმა: ილარიონ ყიფშიძემ, პლატონ ქლიბაძემ, ხანდრო ჭოლაძემ, ილ. ყაველაშვილმა და დავ. ცუხიშვილმა ლოთობას თავი არ დაანებეს რის გამოც გაკრული იქნენ შავ დაფაზე. (გაზეთებიდან).



— ისევ და ისევ
ღვინითა,
ჩვენ დროს ვატარებთ
ლხინითა,
შავ დაფაზე ვსვამთ
ნუნუას,
ვამაყობთ
ახალ „ბინითა".

ი ც ნ ო ბ დ ე თ

მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირი აქტიურად მუშაობს საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეში, ზოგიერთი კომკავშირელები დეზერტირობას ეწევიან. ასეთია მასწავლებელი ჩაჩატუროვი: მან კატეგორიული უარი განაცხადა ბრიგადაში მონაწილეობაზე. (გაზეთებიდან).

ჰა იცნობდეთ
ამ ვაჟბატონს
კომკავშირის შემარცხვენსა;
მას ულაგმოთ
ვერვინ იხმარს,
როგორც გაუხედნელ ცხენსა.

ბასილაძე ბასილა, ბანკი ცოდვით ავსილა

ტფილისის კომუნალურმა ბანკმა ქუთათურ კერძო ვაჭარ ტროფიმე ბასილაძეს ასესხა 1.000 მანეთი. აქედან დიდი ვაი-ვაგლახით გაინაღდა 300 მანეთი. დარჩენილი 700 მანეთი ვაჭარს დღესაც მართებს. („მუშა").



გულუბრყვილოა,—
არ არის ძანკი,—
კომუნალური
თფილისის ბანკი.
მხოლოდ ხანდახან
მიირთმევს მაჭარს
და თანაუგრძნობს,
მფარველობს ვაჭარს.
და ბასილაძეს—
ვაჭარს, „დაჩაგრულს"
ბანკის „გროშები"
მატებს ხალისსა,
ბანკი ეზრდება
ბასილაძეს— და:—
ბასილაძე კი „სოციალიზმსა".

ლ ი ლ ი ნ ი

ჭიათურის მეცხრილე შალიკო ქველაძემ ტაბელში შეიტანა მკვდარი სულები და მოპარა წარმოებას 23 კაცის დღიური ხელფასი. („მუშა").

ქაღალზე დარჩა თქმულება,
რომ მან ქვით მოკლა აბელი...
ფულს გამოუწერ! მკვდარ აბელს
როცა შედგება „ტაბელი".
ფულს გამოუწერ... გავხდები
მდიდარი, როგორც ლორდები,
თუ საიქიოს მომთხოვა,
ცვაჭურად „გაუსწორდები".

განცხადება

სასტუმრო „ევროპა"ს სასადილოს მომხმარებლები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ სასადილოს დარბაზიდან სამზარეულოში შესვლის დროს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა კელნერი

უიფიანი

ბარეგნული ნიშნები: აპრეხილი ულვაშები, აწეული ცხვირი, ქერა თმა. თვალების „უპრაგონო" ბრიალი.

დამახასიათებელი თვისებები: მუდამ „აიმასქნებულ" გუნებაზეა. ზედმეტი თავაზიანობის ნიშნად ივინება დედას „ორი ერთ შაურათ". მნახველებს ვთხოვთ „ეტაპით" გადაგზავნონ „ტარტაროზი"-ს რედაქციაში, „ქაპსულუმ ტარტარუმ"-ის მისაღებათ.

აფრიკის და...

საბჭ. კავშ. მოხეტიალენი

გაფრთხილება

ხონის აბრეშუმის ქარხნის ბუღალტერი გოროზია, პარასკეობით როდესაც ხონში ბაზრობაა— იგი ქარხანაში ორ-სამ საათს მუშაობს, დანარჩენ დროს კი ბაზარში ვაჭრობს. („მუშა").

— გაფრენილო ფუტკარო,
წადი, ამ „ბუხს" უთხარო,
ანგარანი გელოდება,
აქ ბაზარში ნუ ხარო!
ნუ გსურს გეგმას
საწარმოოს
ძირი გამოუთხარო,
თორემ საქმე შეგეყრება
საწყენი, სამწუხარო!—
ხათა რამეს შეეყრები
აქ ბაზარში ძმია,
ტარტაროზმაც
თუ გიხელთა,—
„პრაშჩაი,—დასვიდანია".

„ფრინველები"

მატარებელი № 1329, რომელიც გამზადებული იყო სადგურში გასამგზავრებლად, მოულოდნელად მოხსნეს, რადგან რონოდების საბუთები უგზო-უკვლოდ დაიკარგა სადგ. ტფილისში.

(გაზეთებიდან).



რონოდები:

— ვაი ჩვენო
საბუთებო
სად გაფრინდით, სად!
უპატრონო
პატრონი გვყავს
რატომ გაჩნდით, რად!..

განცხადება

გამოცდილი „უჩიტელი" ამზადებს „უჩენიკებს" (ცხადია განათლების კომისარიატის ნებართვით) ყველა საგნებში: ალგებრაში, ქართულ ენაში, ქიმიაში, სტატისტიკაში, ბნებისმეტყველობაში, ქირომანტიაში, ქირურგიაში, პოლიტცოდნაში, ჩინურ ენაში, ინგლისურში, კულინარიაში, ბუღალტერიაში, გეოდეზიაში, სვანურში, მორდავულში, კასკურში, ბასკურში, კელტურში და სპექულ... იაციაში.

მისამართს ყველა დარაბებზე აღმოაჩენთ.

„დამკვრელი"



— თუ „დამკვრელობაა, მე მკითხონ დაკვრა რავარც უნდა!—გაიფიქრა დ. ძირულის ფერშლის, ნიკა ცუცქირიძის, მეუღლემ, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა ის მოვლენა, რომ ძირულაში ახალი ექიმი, დ. ნიორაძე გაჩნდა, რითაც „ნიკა ფერშალის" პრაქტიკამ—და, რაც უმთავრესია—„დახოდმა" საკმარისად იკლო.

— ღორივით გამოვჭრი ყელს დაიკოს, თუ სადმე შემხვდა—ფიქრობდა ის, მაგრამ ამ პატივცემულ ბანოვანის ტემპერამენტი მის განზრახვებზე უფრო ჩქარი აღმოჩნდა. წაავლო ხელი ნაჯახს და ექიმის ბინისაკენ გაეშურა. საუბედუროთ ექიმის ნაცვლად წინ მისი ბინის კარები დაუდგა, რომელიც ზემოხსენებულმა ნაფლეთებად აქცია.

— დამკვრელი ცოლი მყავს და რა ვიყო!—ამბობს „ნიკა ფერშალი".

— წითელ დაფაზე მოვათავსოთ—უპასუხებენ სხვები.

ვე-ზულ-მანი.

ესეც გეგმა

ხონის აბრეშუმის ქარხნის ფერშალი — ვერა ხუნდაძე — რომელიც სამსახურში დილის 6 საათზე უნდა ცხადდებოდეს, მოდის 8-9 საათზე, აღებს ამბულატორიას და გარბის! ვინ იცის სად.. („მუშა").

ვერიკო:—ჩემი ყოველდღიური საწარმოო გეგმა ბატონებო, ასეთია:

7 საათზე:—გაღვიძება.

7-დან 8 საათამდი:—ლოგინში ნებივრობა, ზმორება, სარკეში ცქერა და მანიკიური.

8-დან 9 საათამდი:—ისევ სარკესთან ტრიალი.

9 საათზე:—ამბულატორიის გაღება.

9 საათზე და 15 წუთზე:—უჩინმაჩინის ქუდის დახურვა და უგზო-უკვლოდ გადაკარგვა ღამის 11 საათამდი.

ნ უ გ ე შ ი

სადგ. ტფილისის საანგარიშო ნაწილი უწერს ხელფასს ისეთ პიროვნებებს, რომლებიც კარგა ხანია საიქიოს განისვენებენ.

მაგალითად:

მეისრე **მელიქიძე** 6 აპრილს გასრისა მატარებელმა. გადის სამი თვე, და მის სახელზე მაინც გრძელდება ყოველ თვე ჯამაგირის გამოწერა.

ორთქლმავალი (გასრესილ მეისრის ცხედარს): —მაპატიე გვამო უმანკოო, რამეთუ ღირს იყვნენ გასრესად ჩემდა მიერ თანამშრომელნი სადგურის ანგარიშისანი და მეყსეულად გაუბრთხილებლობითა და შეცოდებითა ჩემითა გაისრისე შენ!



ᲮᲝᲛ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲡ“ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲠᲘᲝᲜᲘ

„ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ“ ᲑᲐᲥᲐᲜᲖᲔ, ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ— ᲛᲧᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲛᲐᲠᲨᲘ ᲜᲘᲝᲠᲘ.

გურჯაანის რაიონის სოფ. ახალშენის კომეჯრედის მდივანმა ღარიბთა შორის მუშაობაზე „მოუცლელობის“ გამო უარი განაცხადა. (გაზეთებიდან).

— წამო ამხანაგო! ღარიბებთან ვიმუშაოთ.

— რას ამბობ, სად მცალია მათთან სამუშაოდ ამდენ გახურებული „კამპანიების“ დროს?

მომარაგება, როგორც გაგება

მომარგება!..
მომარგება!..
ნომარგება!..
სდგას ეს საკითხი
და საშველი კი არ ადგება!
მაგალითისათვის,
ავიღოთ თუნდ ხილი, მწვანილი!..
ვსთქვათ: პარიზიდან
რომ გვქონდეს ის გამოგზავნილი,
მაშინ მე ხილზე ან მწვანილზე
დავსძრაგდი ენას?
იქვე, პარიზში წაიღო ის
მდინარე სენას!..
მაგრამ მას ისხამს
ჩვენი მიწა განუსაზღვრელად!
გვქონდა ის საზრდოთ
ჩვენ მუდამ ყამს თავზე საყრელად!
ის დღესაც ისე
მოდის ბაღჩა - ბაღის უხვებად!
მოდის თავისით,
თითქმის თავის შეუწუხებლად,
და მისი საზრდოთ
საკვებ საგნებს ზედ დანატებით,
ხვარება ჩვენში
იყო მუდამ დიდი წარმატებით!..
თითქმის ეყარა კალოებათ
იგი ბაზარში,
საღაც იპყნდა მას სუყველა
დარს, თუ ავდარში...
არ იყო ამ მხრივ
შეფერხება ან შემცირება...
დღეს კი ამ საქმეს,
ვხედავ, დიდი დრო ეწირება,
მას ეწირება
დიდი შრომა და დიდი ხარჯი,
განზრახ თუ ვინმე ხელს გეიშლის აქ,
იმასაც დავსჯი!
მაგრამ ის, რაც ზღვად,
რაც უხვებად ყველგან ეყარა,
ამდენ მოშველელში
მიკვირის, ნეტა სად გამეპარა?!.
თუ ვნახე სადმე,
დამპალია ის ან დამზრალი!
ვაი მუშკოოპის! და უფრო კი...
ბომხმარებლის ბრალი,
რომ ეს დამპალიც
თუ დამზრალიც, რომ ძვირად ფასობს!..
ჰყიდულობს მაინც,
და მყიდველიც ზედ, რომ კბილს ასობს.

ტკბილი ხილი თუ
სურნელოვან მწვანილის კონა
უცბათ მწარდება,
როგორც შხამი!
როგორც შხანკოლა!
ან პირს ეკლება,
როგორც ხმელი სიმინდის ჩალა!
რადგან: ბოლოზე
ჯერ იმდენი კაცი ეწვალა,
და რომ იპოვნა,
ვადიხადა შიგ ფასიც ძვირი,
ხოლო მიიღო:
საღის ნაცვლად,
დამპალი!
წვირი!..
ოი, მუკოოპო!
ბომხმარებლისკენ იბრუნე პირი!
გამოარკვიე:
ვისგან არის
ჩვენს თავს ეს
ბირი?!

ენუქა.

განიკურნა ბღინძიაშვილი

(გადმოკეთებულია)

უბედური შემთხვევა მოხდა. კიღამ დავიღუპეთ. იმ დილით სამსახურში ბღინძიაშვილი სრულ ათ საათზე გამოცხადდა. პირდაპირ ჩემთან მოვიდა; ხელი გამომიწოდა და თავაზიანათ მითხრა:

— გამარჯობა ამხანაგო!.. უჰ! როგორ დავიღალე. ფეხით მოვედი სამასახურში, 12 წუთი მოუნდი აქამდი მოწევას. ცოლმა კინადამ ამიკლო: —გამგე ხარ, როგორ იმცირებ თავს, როგორ კადრულობ ფეხით სიარულსო.— სხვა, საქმეები როგორ მიდის?! მომიმზადეთ ქაღალდები: დღეს უნდა ვიმუშაო: არც ერთს არ დავტოვებ ხელმოუწერელს!

— სთქვა თუ არა ეს, მხარზე ხელი დამარტყა და კაბინეტისაკენ გაეშურა.

— ნება მომეცით... კალოშები მინდა გაგხადოთ! —უთხრა მას შიკრიკმა.

— ვანო ხარ? გამარჯვება! —უპასუხა სანაცვლოდ ბღინძიაშვილმა და მასაც სალამის ნიშნად ხელი გაუწოდა. —კალოშებს თვითონ გავიხდი, თქვენ კი, ამხანაგო, წადით და ჩამოხსენით კარებზე წარწერა:

„მოუხსენებლად შესვლა აკრძალულია“. შემოუშვი თავისუფლად ვინც გამოცხადდება.

მაშინვე მიეხვდი რომ საქმე ცუდათ ყოფ.

კაბინეტში ადგილკომის მდივანი შემოვიდა.

— მობრძანდით, მობრძანდით! —მიეგება ბღინძიაშვილი. სწორეთ ახლა ვფიქრობდი თქვენს გამოძახებას. დროა ამხანაგო, ვიფიქროთ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. საჭიროა მასების დაინტერესება. საჭიროა მუშების, პროფორგანიზაციების და ადმინისტრაციის ხელი ხელ ჩაკიდებული მუშაობა პარტიის (- ზუნგების ცხოვრებაში გასატარებლად. ჰო, გამახსენდა: ორი წელიწადია, რაც პროფკავშირის საწევრო არ გადამიხდია: უთხარით ანგარანში, რომ დღესვე გამოქვითონ ჩემი ჯამაგირიდან.

— დღეს ოპერის თეატრში „სილვა“ იდგმება. თქვენმა მეუღლემ ბილეთები დამიკვეთა. —ინებეთ! —უთხრა ადგილკომის მდივანმა.

— როგორ გაბედა დაკვეთა. თუ ბილეთი უნდა, ჩადგეს რიგში და იყიდოს. მე კი პირადათ ოპერა „სილვას“ არ დავესწრები: იდეოლოგიურათ უცხოა პროლეტარულ, მასისათვის. კლუბში კი,—სადაც რაიმე რევოლიუციონური, ან საგიტატორო პიესა იდგმება სიამოვნებით გიახლებით.

ადგილკომის მდივანი კაბინეტიდან გამოვიდა—მის სახეზე განცვიფრება და გაურკვევლობა იყო აღბეჭდილი.

კაბინეტში კომუჯრედის მდივანი შემოვიდა.

— საყვედური უნდა გამოგიცხადო ამხანაგო, დიდი საყვედური: რატომ არ მაძლევთ პარტიულ დავალებებს?! თვითეული ჩვენგანი ვალდებულია მტკიცე კავშირს გრძნობდეს პარტიულ ორგანიზმთან, ძირს ოპორტიუნისტულ - ბიუროკრატიული განწყობილება! შეიტანეთ დღის წესრიგში: ხვალვე გავაკეთებ უჯრედის სხდომაზე მოხსენებას ჩემი მუშაობის შესახებ. ჰო, მართლა, ორი წელიწადია რაც პარტიის საწევრო არ შემიტანია... მიიღეთ ამხანაგო. შემდეგ კი მე მომმართა:

— ზოგიერთი თანამშრომელი პროტექციით მიიღეთ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა გადაშინჯულ იქნეს პირადი შემადგენლობა და მათი განაკვეთი. საჭიროა თვითკრიტიკის გაშლა; აპარატის მუშაობის გადაშინჯვა.

მაშინვე ხელი წავავლე ტელეფონის ყურმილს და სასწრაფო დახმარება გამოვითხოვე.

ბღინძიაშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

— მიიღეთ წამალი! —უთხრა მოწყალების დამ ორი კვირის მკურნალობის შემდეგ.

— მიბრძანდით აქიდან! წესრიგი დაიცავით! **არ მივიღებ მოუხსენებლად!**—უპასუხა მან რიხიანათ.

ყველასათვის ნათელი იყო, რომ ბღინძიაშვილი განიკურნა.

ბოა—რიკ

საჩხერე

საჩხერის შვიდწლედის პრესტიჟი ეცემა
ჟორჟი—პედაგოგი რას ჩადის რას?!
ის ისეთ უმსგავსო საქმეებს კისრულობს,
რომელსაც თვით უნდა უშლიდეს სხვას.
ხშირია შემთხვევა, პურსა სჭამს სკოლაში,
მის სიტყვებს ცენზურა ვერ იტანს, ვერ;
მის მოქმედებაზე ქუჩაში სიცილი
ყოველდღე მოისმის, არ შესწყდა ჯერ.
მრავალჯერ მოხსნილი, როგორღაც ახერხებს
საჩხერის შვიდწლედში შეძრომას ის,
ავარა ბიჭები: „კოკოზა“ და სხვები
იმასთან ქეიფობს და მასთან ზის.

ეხლა თუ აღმასკომს მივხედავთ, შევიტყობთ
იქ ცნობილ ვაჭარის გვამიცა სძევს:—
სადუნიშვილია,—ღვინოებს ყიდულობს,
ჰყიდის ორ იმდენათ, თვით რომ აძლევს.
ჩვენს გამომძიებლის ამბავზე ნუ მკითხავთ,—
გამოსაძიებლათ გამხდარა თვით,
წასულ თვის ოცდაერთს დამთვრალი, ტალახში
ჩვენ აღმოვაჩინეთ და ასე ვსთქვით:
„შენ ნემსიწვერიძევ! თუ თრობას არ მოშლი,—
საჩხერის ქუჩებში იგორებ კვლავ,
იცოდე,—**მოგხსნით** და მუშგლეხნს გადაგცემთ,
წარსული ცოდვებიც ბევრი გაქვს ძმავ!

ნამგალა

ცოლი: ამბობენ, ბოლშევიკები მომავალ გაზაფხულზე ყველა კულაკებს მოსპობენო.
- მაშ არ იცი?! იმოდენა ოლქები მოსპეს და ჩვენ რა ხეირს დაგვაყრიან?!

„აჯაფსანდალი"

შემიფრინდა თავში მუზა,
გაუმარჯოს ამ ჩემს სარდალს.
ჯერ მუშკოოპში შევიდი
და ვიყიდი ფეხზე სანდალს.
(თუ არ მომცეს, მაშინ მკითხონ),
რომ ავუტეხ ჩხუბს და სკანდალს);
და აქედან „სახკვება"-ში
შევსჭამ დახლზე აჯაფსანდალს...

—:—

მართლაც ნამდვილ აჯაფსანდალს..
რა გინდა, რომ შიგ არ იყოს!
აგერ ბუზი, ტარაკანი,
ვირის კუდი ჩვენი მიხოს.
წვენში სცურავს ჭია-ღუა,
ძვალი ახრჩობს ეგერ ნიკოს..
და ასეთი გამგეობა,
აბა თქვენ სთქვით, როგორ იქოს!?

—:—

და პროსპექტზე გამოვედი,
მივადექი ერთ დიდ კვარტალს
ვნახე: მუშკოპის ნოქრები
ძიათრევდენ სახლში ფართალს.
(თუ არ გჯერათ, წამოდით და
დაგიმტკიცებთ სიტყვას მართალს
გამსახლში რომ თავს უკრავენ.
დაიწყებენ მაშინ კვანტალს)

—:—

ვისკუპე და გადავსკუპდი,
ვინახულე მე დუმერგი—
კაპიტალის დამპალ ლეშზე
ამოსული ეკლის ნერგი.
მას წინ ედგა საბჭოეთის
ყველიანი სავსე დერგი.
სჭამდა მშიერ კატასავით,
გამძღარიყო ის ვერ ჯერ კი.

და პრეზიდენტს გვერდში უჯდენ
პრემიერი და ბრიანი.
ეტყობოდათ—სამივენი
იყვენ ჩვენზე ბრაზიანი.
—ავკრძალოთო,—მოახსენეს,—
ჯერ არ არის მთლად გვიანი.
სხვა მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია
მივაყენოთ მათ ზიანი.

—:—

და აქედან ბელგიაში
ამოვყავი უცებ თავი.
(მე მინდოდა მენახულა
ვანდერველდე ის პირშავი).
ჩვენში იყო და გაიგო
ჩვენი საქმე და ამბავი.
ვის რად უნდა, მაგრამ გვითხრა
ჩვენ მან სიტყვა არა ავი.
გადავიდა საზღვარზე და
გადაფიცა სიტყვა თქმული.
(ეშინოდა თვისი მეფის,
აუძგერდა საწყალს გული).
და დაიწყო ჩვენზე ჭორი,
ლაპარაკი მოწამლული...
ის დაბრუნდა სამშობლოში
ყველგან პანღურ-ამოკრული.

—:—

ვისკუპე და ჩამოვფრინდი,
და დავფრინდი დიდუბეში,
სადაც შეშის ორდერები
ხალხს ხელში აქვთ და უბეში.
იყო ჩხუბი და სკანდალი,
ჩაფლულიყვენ წყლის გუბეში.
ერთს მიჰქონდა მხოლოდ შეშა,
სჩანს მოსვლოდა მას დუ-ბეში.

რინ-ტინ-ტინ.

გზადაგზა

მატარებლით გაეშურე,
ვინახულე ძეგვი;
აქ მრავალი „მესვეური"
არის „მისაბეგვი".
გლეხის ფარაჯა ჩავიცვი,
გავიარე სოფლად;
ერთ ყანაში ერთი გლეხი
მუშაობდა ობლად.
ვკითხე: ძმაო, რას გამდგარხარ
ასე მარტოხელად,
კოლექტივში რად არა ხარ
უფლებიან წევრად?
ერთად შრომას, ნუ თუ ცალკე
გირჩევნია ბევრად?
გლეხი წელში გაიმართა,
შემომხედა ცერად,
რომ დარწმუნდა გლეხი ვიყავ,
ნელა ჩაახველა
და მომიყვა დადინჯებით,
რაც იცოდა ყველა.
მითხრა: ძმაო, არ გვივარგა
სოფლის ხელმძღვანელი;
ეკლესიამდე მისულია
ეს ჩვენი არტელი.
მეც მინდოდა შევსულიყავ
კოლექტივში ძმურად;
ღარიბ გლეხებს არ ვილებთო,
მითხრეს მედიდურად.
უკულმა დაატრიალეს
მათ ცხოვრების ჩარხი,
ამიტომაც „მესვეურებს"
არ ენდობა ხალხი.
აღარ ვიცით ვის მივმართოთ,
ვისა ვთხოვოთ შველა,
დაქსაქსულმა გარჯა-შრომამ
დაგვცა, დაგვანელა.
რაც გითხარი, არსად სთქვა,
გაფიცებ შენს ძმობას,
თორემ ვიცი არ ავცდები
„მესვეურთა" მტრობას.
გულმოსული გავემართე,
კასპში შევიარე.
და ვიკითხე აღმასკომის
მდივან-თავმჯდომარე.
ვერც ერთი ვერ ვინახულე
თავის სამსახურში;
სადგურზე ბრძანდებიანო—
ჩამჩურჩულეს ყურში.
კოოპერატივს ვეწვიე
ერთობ გულ-ნატკენი,
სადაც ნოქრად „ბრძანებულა"
არუნოვ რუბენი.
შავსიელი ბრძანებულა
ეს ძველი ვაჭარი;
ღარიბების სიძულვილით
დუღს როგორც მაჭარი.
თურმე ერთხელ ის წმენდა
მოხსნეს, მოაშორეს,
მაგრამ ისევ მიუღიათ
იგი ხელმეორეთ.
აქ მის გარდა მრავალ
ასაწევი ყურის,
მაგრამ ჯერ ეს მიიღეთ
მოსაკითხი ძმური.

უჩინარი.



— მივდივარ... მუშებთან უნდა მივიტანო!
— შეჩერდით! არავითარ შემთხვევაში!
— მაშ, როგორ გაიგონ მუშებმა თქვენი ბრძანება?
— ბრძანება მიგაქვთ?!. წაილეთ... მე საწარმოო გეგმა მეგონა.

ჭ ი ა თ უ რ ა

სექციის გამგეა დავით ერგემლიძე
და ცილი დასწამა დიმიტრის, რომ
ხარების შესაჭმელ სიმინდებს ითვისებს,
მიზრძანდი საკანში, მოგისწრო დრომ.
და წიწილაშვილი დაკითხეს, ეგონათ
რასაც თვით ფიქრობდენ იტყოდა მას.
„სთქვა მან, რომ „დიმიტრი სიმინდს არ ითვისებს
ქურდს მე არ დავფარავ საკუთარ ძმას".
ასეთი ჩვენება არ მოსწონს დათიკოს.

და ჯავრი იყარა მოწმეზე მით,
რომ დააპატიმრა კანტორის ოთახში,
მშიერი ამყოფა ის მთელი დღით.
საღამოს გაუშვა და უთხრა მუქარით
არსად სთქვა იცოდე ნუ იზამ ავს,
თორემ ჩემს რისხვას შენ ვერ გადურჩები
მოგაძრობ უშნო და უტვინო თავს.
რასა გავს დათიკო ასეთი მოქცევა,
ვინ მოგცა უფლება დატუქსო ის
და დააპატიმროთ უდანაშაულოთ
ვინც შრომობს ერთგულათ და ოფლი სდის.

უნდო.

„ს ა ქ. ღ ვ ი ნ ო"

ჩემი გვარი ახალი,
ხომ ქვეყანამ გაიგო,
ყველა გადამემტერა,
ყველამ მასხრად ამიღო.
„ბალბოსტანი გამხადეს
„ღვინო" სახელქებული,
არავის არ ვეგონო
უცბად გაკოტრებული.
ამ სკამებზე ცოტა ხნით
მომიწია სვენება,
მაგრამ დახეთ, დამიწყეს
უთავბოლოთ ჭენება.
კომბინატათ სდომიათ,
ჩემი გადაკეთება,
ამდენ სახელის ცვლაში
ნეტა არ გაკეთდება?
სამახური სულ ყველამ
შეიცვალეს სრულადა,
გამგე „გლავბუხს" კოცნიდა
პირზე მეგობრულადა.
„ნაჩხოზი" კი „უპრავდელს"
სთხოვდა ვიდვიჟენიას,
აქ გული შეუწუხდა
მემანქანე ქენიას.
კოტე შტატებს ეძებდა
რისთვის, კი არ იცოდა,
გამგეობა ყოველდღე
სიმწრის ოფლში იწოდა,
მაგრამ ჰოი ბუნებავ!
შენს სვლას ვერვინ ვერ მოღლის,—
ერთი სიტყვაც არ მისცეს
ამ საკითხზე

ძნელ-ოლლის.

შ ვ ი დ ი ც ო ლ ი

(ფოთი)

ტარტაროზო ჩვენ სადგურში
ნახე ფრინველთ კარნავალი
თავისუფლად დასეირნობს
ძაღლი, ბატი და მამალი.
ჩვენი მუშკოოპის გამგე
პროტექციის მამა არი,
მას ეწვიე შენი ჩანგლით
(გველესიანია გვარი.)
უცნობ გლეხებს, ან და მუშას
უნდა სტყიცოს ცივი ვარი,
ნაცნობ-ნათესავებისთვის
არის „რბილი"—მოსახმარი.
„ოსტრო"-ს სასადილოს გამგეს
(მეავიაა მისი გვარი—)
სასადილო არ ადარდებს
ქალებისკენ მიაქვს თვალი.
დროზე ვერაფერსა გაჭმევთ,
მას გაუხმეს თავის ქალა,
(იმ „რჯულ-ძაღლმა" ერთ კვირაში
შვიდი ცოლი გამოსცვალა).

ბრაგუნა.

ს უ რ ა მ ი

—:—

სურამის ციხეო
სურვილითა გნახეო,
ამდენი ხოროცმეტებ
როგორ შეინახეო.

სურამისა შვიდწლედში
საქმე არეულია,
და ამის მნახველს, ვით
არ ეტკინოს გულია?!

ხარაბაძე დანიშნეს
აქ გამგისა ადგილზე,
მაგრამ არ გამოცხადდა
დროს ატარებს ნადიმზე.

ხარაბაძეს — ამბობენ —
სწყალობს „დიდი პირი"-ო,
მაგრამ ვფიქრობ დაუდგეს
მასაც გასაჭირიო...

კულტსექტორის გამგესა,
ტარტაროზო ძმაო,
პეტრე ქვია სახელად
ისიც დამნაშავეა.

მასწავლებლის უფლება
ნიახური ჰგონია,
ტარტაროზო უთხარი
მოიკრიფოს გონია.

მამედა.

ცხელ-ცხელი ამბები

ახალი ბროშიურა

დაბეჯითებით ამბობენ, რომ ტფილისის მუშკოოპს მტკიცედ აქვს განზრახული შეიძინოს კარტოფილი და დაურიგოს მუშა-მოსამსახურეებს. ამასთან დაკავშირებით მუშკოოპი ამზადებს სპეციალურ ბროშიურას: „კარტოფილის, მისი შეძენის წყაროების და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ კოოპერატივიდან კარ'.აფილის მიუღებლობის შემთხვევაში;. გაიძახიან, რომ ამ ბროშიურაში ამოწურული პასუხი გაეცემა მომხმარებლებს ყველა იმ ობიექტიური მიზეზების შესახებ, რომლებმაც დააბრკოლა ბოსტნეულის დარიგების დაგვიანება ან სულ არ დარიგება.

მომარაგება უმჯობესდება

მუშათა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მუშკოოპი კლუბებში აწყობს... კითხვა პასუხის საღამოებს. ასეთი საღამოები უკვე მოეწყო მთელ რიგ ადგილებში, სადაც მუშკოოპს ინსტრუქტორები აუდიტორიას ამარაგებენ... დაპირებებით.

ვითომ დავიჯეროთ?

ქალაქში ერთობ გავრცელდა ხმები, რომ კოლმეურნცენტრს განზრახვა აქვს მონაწილეობა მიიღოს მოსავლისა და კოლექტივიზაციის ათდღიურში (15-25 ოქტომბერი) და აგრეთვე შემოდგომის თესვის კამპანიაში.

იშვიათი გამოგონება.

მუშათა გამომგონებლობის ბიუროს ახალი თავსატეხი საქმე შეემატა: ტფ. მუშკოოპის გამგეობის წევრმა და ერთერთი განყოფილების გამგემ ამხ. ავეტისოვმა გამოიგონა კაბინეტის კარების მექანიკურად გაღების და დახურვის საშუალება. ეს ხდება ამხ. ავეტისოვის მაგიდაზე მოწყობილ „კნოპკის" და ელექტრონის საშუალებით. ამ გამოგონებას უნდა დაუმადლოთ, რომ ამხ. ავეტისოვის კაბინეტის კარები მუდამ დაკეტილია და აბეზარი მომხმარებლები ტყუილ-უბრალოდ ელოდებიან კაბინეტში შესვლას. ამაზეა თქვენი იმედი, მოქალაქე მომხმარებელნო? უმალ აქლემი ნემსის ყუნწში გაძვრების, ვიდრე თქვენ ამხ. ავეტისოვის კაბინეტის კარებში შეძვრებით!

სხვათა შორის, გამომგონებელთა ბიურომ და აგრეთვე სხვა ბიუროებმაც ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ძვირფას გამოგონებას.

დაიკარგა თხა.

ტფ. ზოოლოგიური პარკის მუშაკებს ბაღიდან ვერაგულათ გაეპარათ გარეული თხა. მოქალაქეთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ მის მპოვნელს, დამჭერს და უკანვე მომყვანს თხის სამაგიეროთ მიეცემათ ორი მგელი და ერთი ტურა. გვთხოვენ აგრეთვე გამოვაცხადოთ, რომ ხსენებული თხის მოკვლა (ან დაკვლა და შეჭმა ზოოპარკის მუშაკთა შორის გამოიწვევს დიდ გაუგებრობას და მითქმა-მოთქმას.

გოდორი

თავქარიანს (აქვე) თქვენი წერილი არც გოდორში მოხვედრილა და არც იბეჭდება. საერთოდ ისეთი ფსევდონომი აგირჩევიათ რომ თქვენი ნაწერებით ჩვენ ვერ ვსარგებლობთ. მიზეზი ის არის. რომ რაკი თქვენი ფსევდონომი თავქარიანია, ქარისაგან მოტანილი თქვენი შე მოქმედება ისევ ქარს მიაქვს.

კოხს. (ოზურგეთი). თქვენი ლექსი „მჟავე წყალი" ასე იწყება:

> **თაყაიშვილი თინა**
> **შეიპყრო სიყვარულმა,**
> **მჟავე წყალზე მიავლინეს**
> **ეს მაშინვე უგრძნო გულმა..."**

რა არის ამაში დასაცინი? განა მჟავე წყალზე დასამჟავებლად მიდიან?

რაც შეეხება თინას მიერ ფულების ჭამას, თქვენს ლექსში არ არის გარკვეული თუ ვისი ფული შესჭამა თინამ. თუ თინამ სხვისი ფულები მიითვისა, მაშინ „ტარტაროზი" სავსებით გეთანხმებათ თქვენი ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში, კერძოთ მასში, რომ—

> **„თინას საქმე ცუდათ წავა**
> **დროზე უნდა შველა თინას,**
> **თორემ მჟავე წყლის სანაცვლოდ**
> **ის მოსძებნის ხხვაგან ბინას"**

ფარცხელს (ს. ფარცხნაყანევი, სამტრ, რაიონი): თქვენი ლექსი ასე თავდება:

> „ტარტაროზო! ეხლა მე გთხოვ.
> ვიცი, რომ ხარ მებრძოლია,
> **დაგვიბეჭდეთ ეს წერილი,**
> **ხელხა ვაწერ ფარცხელია...**
>
> **ფარცხელ...**

ჩვენ კი სულ იმის ჯავრში ვიყავით, ვაი თუ ფარცხელი რაიმე სხვა საკითხმა გაიტაცოს და ხელი აღარ მოაწეროსთქვა. არ გამართლდა ჩვენი შიში! ხელი მოწერილია! მორჩა! რაკი თქვენ წერილზე **ხელი მოაწერეთ** თქვენი კოოპერატივიც ფეხზე დადგება და მსოფლიო მიმზიდველობის კანონიც ძალაში დარჩება!

ნორჩ ფილოსოფოსს (აქვე). იწერებით: **„სული დაობლდა; ფიქრებმა გაიტაცეს... უკვდავება მინდა; ვერ ვხვწვდები...** არ ვიცი როგორ მოვიქცე..."

ჩვენ მივმართეთ საკონსულტაციოთ **ლევარსი როხროხაძეს** და მანაც ასეთი პასუხი მოგვახსენა:

— **უკვდავება გინდა?! მოკვდი და უკვდავი იქნებით.**

კაკოს (აქვს). თქვენი წერილი ანუ ლექსი.

> ეპისტოლეა თუ ვით დაობდა წიწილაზე
> მღვდელი-დიაკვანი და ეპისტოლე იგი მეტად
> დიდი გამოდგა და მღვდლებთან ერთად
> ჩვენს გოდორში ჰპოვა აკვანი.

იცოხნის

ტფილისის მუშკოოპის უყურადღებობით უპატრონოთ დალპა კოლმეურნეობაში დამზადებული ბოსტნეული.

(გაზეთებიდან)

Р 345
1930
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР



„მუშკოოპი წევს და იცოხნის—თავის ამინდი გოხია ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გონია?

მთავ. № 1310 რედაქტ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშა“-ს გამოცემა